



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 421
23/02/2018

ქალაქი ბათუმი

421-05-4-201802231011



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს მიზანშეწონილია დაეკისროთ კონკრეტულ ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელების მოვალეობა.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თამაზ მურადიშვილის 2018 წლის 14 თებერვლის №493-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის **როსტომ ვარშანიძის** მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

1.1. სოფელ ახალსოფლის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობისა და მაგისტრალის მოწყობა;

1.2. სოფელ ორთაბათუმში საბავშვო ბაღის მოწყობა.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის დავით ვარშანიძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

2.1. ახალშენის კულტურის სახლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოები II ეტაპი.

2.2. სოფელ ხელვაჩაურში ე.წ. ალიშის ტყიდან წყალსადენისა და 160ტ. სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა.

2.3. სოფელ ქვედა კაპრეშუმში არსებული სასმელი წყლის ცენტრალური აუზის საქლორატორო-სალექარი, სანიტარული ზონის, კაპტაჟისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

2.4. სოფელ მასაურა წიქარეულის არსებული სასმელი ცენტრალური წყლის ავზის, საქლორატორო სალექარი სანიტარული ზონის, კაპტაჟისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

2.5. სოფელ წინსვლაში არსებული სასმელი წყლის აუზისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის **გიორგი მახაჭაძის** მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

3. 1. სოფელ მნათობში, ფერიასა და ახალშენის მეურნეობაში სასმელი წყლის მაგისტრალის და რეზერუარის მოწყობა ქალაქის წყალსადენზე.

3. 2. ზედა ჩხუტუნეთში წყლის მაგისტრალის მოწყობა.

3. 3. ახალსოფელში ამბულატორიისა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია.

3. 4. აღმართის ამბულატორიის რემონტი.

3. 5. სოფელ ზედა განახლებაში არსებული სასმელი წყლის ცენტრალური აუზის, აქლორატორო სალექარი სანიტარული ზონის, კაპტაჟისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის **თამაზ ბერიძის** მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

4.1. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია მოწყობა. მათ შორის მზა ბეტონის შექმნა 325000 ლარი.

4.2. სოფელ დაბა მახინჯაურში არსებული სასმელი წყლის ცენტრალური აუზის, საქლორატორო-სალექარი სანიტარული ზონის, კაპტაჟისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია.

4.3. ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა.

4.4. სოფლის მოსაცდელეების მოწყობა.

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ბიძინა დუმბაძის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობა:

5.1. სოფელ სარფში არსებული წყალსადენის, სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობა.

5.2. მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა.

5.3. სოფელ კიბეში სასმელი წყლის 30ტ. რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა.

5.4. სოფელ ზედა თხილნარში ცეცხლამების უბანში წყალსადენის მილის დაერთება ცენტრალურ მაგისტრალზე.

5.5. სოფელ თხილნარში, გულაბერიძეების, შარაძეების, ცინცაძეების და ლანგათის დასახლებაში არსებული სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია.

5.6. სოფელ მახოში ზანაქედის გონჩის მხარეს გივი აბაშიძის სახლის მიმართულეებით ცენტრალურ წყალსადენზე წყალსადენის მილის დაერთება. სოფელ ქვედა მახოში დავითაძეების მიმართულეებით ავთანდილ გეჯაძის სახლამდე წყალსადენის მილის დაერთება. სოფელ ზედა თხილნარში ხინკილაძე-დუმბაძის მიმართულეებით ზედა თხილნარის ხიდამდე არსებული სადაწნეო ავზიდან მილის დაერთება. სოფელ ომბოლოში რამაზ დარჩიძის სახლის მიმართულეებით წყალსადენის მილის დაერთება ცენტრალურ მაგისტრალზე.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს თამაზ მურადიშვილს.

7. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature is stylized and appears to be the name 'ჯუმბერ ვარდმანიძე'.